სასულიერო პირთა რეპრესიები საბჭოთა პერიოდის საქართველოში (საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი არქივების მიხედვით)

აბესალომ ასლანიძე
ფილოსოფიის დოქტორი,
რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო
საქართველო, 0105, თბილისი, ინგოროყვას 7.
+995 577 999 860; a.aslanidze@bsu.edu.ge
ORCID: 0009-0005-8925-6129

ზვიად ტყაბლაძე
ისტორიის დოქტორი,
რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო
საქართველო, 0105, თბილისი, ინგოროყვას 7.
+995 551 010 808; ztqabladze@gmail.com
ORCID: 0009-0009-4347-6299

გიორგი პატაშური
ხელოვნებათმცოდნე, მაგისტრი,
რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო
საქართველო, 0105, თბილისი, ინგოროყვას 7
+995 577 936 567; giopatashuri84@gmail.com
ORCID: 0009-0007-8579-4792

სერგო ფარულავა
თეოლოგი, დოქტორანტი
რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო
საქართველო, 0105, თბილისი, ინგოროყვას 7
+995 577 278 095; parulava.sergo@gmail.com
ORCID: 0009-0003-8524-1718

აბსტრაქტი

სასულიერო პირების რეპრესიების საკითხი ერთ-ერთი შეუსწავლელი სფეროა არა მარტო ქართულ, არამედ პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამეცნიერო ლიტერატურაშიც. საქართველოს ანექსიის (1921 წ.) შემდეგ, ისევე როგორც მთელ საბჭოეთში, აქაც აქტიურად დაიწყო „წითელი ტერორი“ და ათეისტური რელიგიური პოლიტიკის გატარება იმ პერიოდში მოღვაწე ყველა რელიგიური ინსტიტუტის წინააღმდეგ: დაიხურა ასობით საკულტო ნაგებობა, რელიგიური სკოლები. სასულიერო პირთა დევნის საფუძვლად იყენებდნენ მათ ანტისაბჭოთა და კონტრრევოლუციური აგიტაცია-პროპაგანდის და სხვა სახის ბრალდებას. ანონიმური დასმენების, გამოგონილი ბრალდებების, ცილისწამების შედეგად მიმდინარეობდა მათი დაპატიმრება, დახვრეტა, ან საკონცენტრაციო ბანაკებში გადასახლება და სხვ.

ამ პრობლემატიკის გაშუქების მიზნით, რელიგიის საკითხთა სააგენტოს მკვლევართა ჯგუფმა განახორციელა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული 2022 წლის ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პროექტი - **NFR-22-21090, „რელიგიური ნიშნით რეპრესიები საბჭოთა საქართველოში (შსს არქივის მონაცემების მიხედვით)**, რომლის შედეგად გამოიცა ნაშრომი („რელიგიური რეპრესიები საბჭოთა საქართველოში“, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, თბილისი., 2025:752).

საბჭოთა ხელისუფლება სასულიერო პირების რეპრესიებისთვის, გარდა დაპატიმრებისა, დახვრეტისა ან გადასახლებისა იყენებდა სხვა მეთოდებსაც: საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევას, არა მარტო სასულიერო პირებზე, არამედ მათი ოჯახის წევრებზე და კმაყოფაზე მყოფ პირებზე; დაშინებას, იძულებას

(სასულიერო პირობაზე უარის თქმა), დამცირებას, დაჯარიმებას სასულიერო საქმიანობისთვის, პირადი ქონების ჩამორთმევას, ოჯახის წევრების შევიწროებას და ა. შ..

ამ გარემოების გათვალისწინებით გაგრძელდა კვლევები და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინიციატივით უკვე ხორციელდება ახალი, მეორე პროექტი - **FR-23-13674, „სასულიერო პირთა რეპრესიები საბჭოთა პერიოდის საქართველოში (ცენტრალური და ადგილობრივი არქივების მონაცემების მიხედვით)“,** რომელსაც ასევე აფინანსებს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, 2024 წლის ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის ფარგლებში.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მკვლევართა ჯგუფის მიერ საბჭოთა საქართველოში (1921-1991 წლებში) რელიგიური ნიშნით განხორციელებული რეპრესიების და რეპრესირებული სასულიერო პირების შესახებ ჩატარებული კვლევის გაშუქება, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი არქივების მონაცემების მიხედვით. ამ ეტაპისთვის სრულად დამუშავებულია ქუთაისის ცენტრალური არქივი, აჭარის საარქივო სამმართველო, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, გურიის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, სამეგრელოს რეგიონული და გორის, ხაშურის, კასპის, ზესტაფონის, ფოთის ადგილობრივი არქივები. მიმდინარეობს კვლევითი სამუშაოები საქართველოს ეროვნული არქივის თბილისის ცენტრალურ არქივში. მოპოვებული მასალები უკვე იძლევა საშუალებას საბჭოთა საქართველოში სასულიერო პირების მიმართ რეპრესიების ზოგადი სურათის დადგენისა და ცალკეული დასკვნების გამოტანის.

მიმდინარე პროექტში მონაწილეობას იღებს მკვლევართა ჯგუფი: აბესალომ ასლანიძე (პროექტის ხელმძღვანელი), გიორგი პატაშური (პროექტის კოორდინატორი), ზვიად ტყაბლაძე,

ზაზა ვაშაყმაძე, სერგო ფარულავა, დავით დავითაშვილი და მოწვეული მკვლევარი მერაბ კეზევაძე.

საკვანძო სიტყვები: რელიგიები, რეპრესიები, სასულიერო პირები, საბჭოთა საქართველო, არქივი.

შესავალი

საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პერიოდში განხორციელებული რეპრესიები, მათ შორის რელიგიური ნიშნით, დღემდე ერთ-ერთი შეუსწავლელი სფეროა, რასაც რამდენიმე მიზეზი განაპირობებს: რეპრესირებულთა შესახებ ინფორმაცია ათწლეულების განმავლობაში გასაიდუმლოებული და ფაქტობრივად მიუწვდომელი იყო მკვლევართათვის და საზოგადოებისთვის; 1990-იან წლებში, თბილისში განვითარებულ ცნობილ მოვლენებთან ერთად დაიწვა საბჭოთა საქართველოს უშიშროების არქივი, რომელმაც შთანთქა ათასობით უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი; ნაწილი კი, გატანილ იქნა რუსეთის ფედერაციაში.

რეპრესირებულთა შესახებ ინფორმაცია ძირითადად ინახება თბილისში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ცენტრალურ არქივში, ასევე გაბნეულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონულ არქივებში. ამ საკითხში სპეციფიურ კვლევათა ნაკლებობის გამო, მონაცემები მიუწვდომელია არა მარტო რეპრესირებულთა შთამომავლობისთვის, არამედ ზოგადად, რეპრესიების პრობლემატიკით დაინტერესებული პირებისთვის, რომელიც ეხება ყოველგვარი დანაშაულის უქონლობის ფონზე ათასობით ადამიანის დაშინებას, დაპატიმრებას, გადასახლებას, დახვრეტას და ა. შ..

აღნიშნული ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად, სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მკვლევართა ჯგუფმა რამდენიმე წლის წინ დაიწყო მუშაობა და შეიმუშავა პროექტი, რომელიც დააფინანსა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა. პროექტი (**NFR-22-21090 - „რელიგიური ნიშნით რეპრესიები საბჭოთა საქართველოში (შსს არქივის მონაცემების მიხედვით)** მოიცავდა რელიგიური ნიშნით რეპრესირებულთა შესახებ ერთიანი მონაცემების შეგროვებას და ერთ წიგნად გამოცემას შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული მასალების საფუძველზე (პროექტი უკვე დასრულებულია და გამოიცა წიგნად „რელიგიური რეპრესიები საბჭოთა საქართველოში“, (რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, თბილისი, 2025: 752).

თუმცა, ზემოხსენებულ პროექტზე მუშაობის დროს გამოიკვეთა, რომ შსს არქივში დაცულ მასალებში ძირითადად ის პირები იძებნებოდა, რომლებზეც აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც დააპატიმრეს, დახვრიტეს, ან გადაასახლეს საკონცენტრაციო ბანაკებში. ამ დროს, რეპრესიების სხვა უამრავი ფორმა არსებობდა, როგორიცაა: საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა - არა მარტო სასულიერო პირებზე, არამედ მათი ოჯახის წევრებზე და კმაყოფაზე მყოფ პირებზე, დაშინება, იძულება (სასულიერო პირობაზე უარის თქმა), დამცირება, დაჯარიმება სასულიერო საქმიანობისთვის, პირადი ქონების ჩამორთმევა, ოჯახის წევრების შევიწროება და ა. შ..

სწორედ ამ მიზნით რელიგიის სააგენტოს მკვლევართა ჯგუფმა შეიმუშავა ახალი პროექტი (**FR-23-13674 - „სასულიერო პირთა რეპრესიები საბჭოთა პერიოდის საქართველოში (ცენტრალური და ადგილობრივი არქივების მონაცემების მიხედვით)“** რომელსაც ასევე, აფინანსებს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა არქივებში ჩატარებულმა კვლევებმა ნათლად აჩვენა, რომ რელიგიური ნიშნით რეპრესირებულთა იმ პირებზე, რომლებზეც შსს არქივში არ იყო მონაცემები, ინფორმაციები იძებნებოდა საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალურ, რეგიონალურ, ადგილობრივ არქივებში და შესაბამისად მუშაობა უნდა გაგრძელებულიყო.

მკვლევართა ჯგუფმა კვლევები უკვე განახორციელა ქუთაისის ცენტრალურ არქივში, აჭარის საარქივო სამმართველოში, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, გურიის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, სამეგრელოს რეგიონულ და გორის, ხაშურის, კასპის, ზესტაფონის, ფოთის ადგილობრივ არქივებში. მიმდინარეობს კვლევითი სამუშაოები თბილისის ცენტრალურ არქივში. მოპოვებული მასალები უკვე იძლევა საშუალებას საბჭოთა საქართველოში სასულიერო პირების მიმართ რეპრესიების ზოგადი სურათის დადგენისა და ცალკეული დასკვნების გაკეთებისთვის.

მეთოდი

სამეცნიერო ნაშრომი ეფუძნება თეორიულ მეთოდოლოგიას: მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ანალიზს, სინთეზს, შედარებას, საქართველოს სხვადასხვა არქივებში დოკუმენტების მოძიებას და დამუშავებას (დადგენილებების, რეპრესირებულ პირთა შესახებ მონაცემებს, ანკეტებს, ხმის უფლებისა და ქონების ჩამორთმევის აქტებს და ა. შ.). კვლევა მოიცავს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოღვაწე რელიგიური პირის რელიგიურ კუთვნილებას, მის როლს იმ პერიოდის რელიგიურ ცხოვრებაში, მისი პირდაპირი თუ ირიბი რეპრესირების დეტალებს და თარიღებს, სადაც იგულისხმება სხვადასხვა სახის ზეწოლა სასულიერო პირზე, როცა ხშირად მას და მის ოჯახს ართმევდნენ უძრავ-მოძრავ ქონებას, საარჩევნო ხმის უფლებას, შეჰყავდათ ე. წ. „შავ სიაში“ და ამით რიყავდნენ საზოგადოებიდან, აიძულე-

ბდნენ უარი ეთქვათ სასულიერო წოდებაზე, უკეტავდნენ, უნგრევდნენ საკულტო ნაგებობებს და სხვ..

შედეგი

საკვლევ საკითხზე მუშაობის შედეგად, ვლინდება საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, სხვადასხვა წლებში რეპრესირებული სხვადასხვა დენომინაციის სასულიერო პირი, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა რეპრესიების კოლოსალური მასშტაბები. კვლევის შედეგები საინტერესო იქნება არა მხოლოდ სამეცნიერო თვალსაზრისით, არამედ საზოგადოებაში ცნობადობის ამაღლებისთვის საბჭოთა რეპრესიების სისასტიკისა და დევნის ნაირგვარობის თაობაზე. ასევე სასარგებლო იქნება საქართველოს ისტორიით, რელიგიით, თუ სახელმწიფო პოლიტიკის კვლევებით დაინტერესებული პირებისთვის. მასალაში, რომელიც პროექტის დასრულებისას წიგნის სახით გამოქვეყნდება, ნაჩვენები იქნება, თუ როგორ დევნიდნენ, რიყავდნენ, ყოველგვარი სახსრების გარეშე ტოვებდნენ სასულიერო პირებს და მათ ოჯახებს, მხოლოდ იმის გამო, რომ ღმერთი სწამდათ.

დისკუსია

საბჭოთა ხელისუფლება თავისი არსებობის პირველივე წლებიდან ცდილობდა სასულიერო პირებზე და ზოგადად რელიგიებზე უმკაცრესი ცენზურისა და კონტროლის დაწესებას[56]. ამ მიზნით მიღებული 1921 წლის 15 აპრილს და 1923 წლის

---

[56] ისიც უნდა ითქვას, რომ თვიდანვე ხელისუფლება ერიდებოდა პირდაპირ რეპრესიების გატარებას ცალკეული რელიგიური ორგანიზაციების წინააღმდეგ. მაგალითად შეიძლება გამოდგეს საქ. კპ აჭარისტანის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა (ოქმი N 13, 22.04.1925), რომელზეც დაადგინეს: ბაირამის სამი დღე მუსულმანებისათვის გამოცხადდეს დასასვენებელ დღეებად, მიეცეს წინადადება დაწესებულებებს მუსულმანები ამ სამი დღის განმავლობაში განთავისუფლებულ იქნეს სამუშაოსაგან - ერთი დღე კი ამათ შორის საერთო უქმეთ, რადგან საზოგადოთ ხსენებული დღესასწაულები საერთოდ არ არის გარკვეული, აღიძრას შუამდგომლობა საქართველოს ცეკას წინაშე გამორკვეულ იქნეს მომავალში მუსულმანთა დღესასწაულები (სტილი დაცულია) (აცსა, ფ. პ-1, ანაწ. 1, საქ. 372, გვ. 30).

17 ივლისს დეკრეტები, ასევე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დადგენილება, რომელიც ავალდებულებდა ყველა რელიგიას სამაზრო განყოფილებებში წარედგინათ საკულტო ნაგებობის, მსახურთა და პასუხისმგებელ პირთა შესახებ სია ორ ეგზემპლარად. შემდგომში ეს სიები რა თქმა უნდა გამოყენებულ იქნა სასულიერო პირებისა და მორწმუნე საერო პირების რეპრესიებისთვის.

საბჭოთა ხელისუფლება რელიგიურ ორგანიზაციებს ავალდებულებდა ყველა წესის დაცვით რეგისტრაციაში გატარებას, რასაც რელიგიური ორგანიზაციები ემორჩილებოდნენ და წესდების სრული დაცვით შეჰქონდათ შესაბამის უწყებებში განცხადება რეგისტრაციაზე. თუმცა, ხელისუფლების გადაწყვეტილება ყოველთვის დადებითი არ იყო. ამ განცხადებებში მთავარი იყო იმ სასულიერო პირებისა და მათი მხარდამჭერების შესახებ ინფორმაცია, ვინც ემსახურებოდა საკულტო ნაგებობას.

მაგალითისათვის, ერთი დოკუმენტის შინაარსზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომლის თანახმად 1924 წლის 29 თებერვალს ქუთაისის სამაზრო აღმასკომში შევიდა განცხადება თერჯოლის ღვთისმშობლის მიძინებისა და სოფ. ლაშის ეკლესიის რეგისტრაციაში გატარების შესახებ, რომელშიც მოცემული იყო მღვდლების და სხვა არჩეული პასუხისმგებელი პირების სია, სადაც აღწერილი იყო სასულიერო პირის მისამართი, სოციალური მდგომარეობა, საზოგადოებრივი და სამსახურეობრივი მდგომარეობა, წოდება რევოლუციამდე, ქონებრივი მდგომარეობა და როდის შეუერთდა ამ რელიგიურ კულტს (ქცა,[57] ფ. 296, ანაწ. 1, საქ. 522).

საბჭოთა ხელისუფლება ხალხს აჯერებდა, რომ ეკლესიების დახურვა და სასულიერო პირების რეპრესიები არ იყო მისი პოლიტიკა, არამედ ეს დრომ მოიტანა და ეკლესიები თავისით

[57] ქცა - ქუთაისის ცენტრალური არქივი.

იხურება. ამ მხრივ საინტერესოა საქართველოში იმდროინდელი მოვლენების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს კპ ცკ-ს მდივანი კახიანი (1924 წლის ოქტომბერი), სადაც ვკითხულობთ: *„ანტი-რელიგიური პროპაგანდის სფეროში ჩვენ მოგვიხდა სხვა ზომების მიღება, ვიდრე რუსეთში იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რაც აქ სახეზეა. რელიგიამ და ეკლესიამ საქართველოში დიდი ხანია, ჯერ კიდევ 1905 წ. დაკარგეს მნიშვნელობა და ავტორიტეტი გლეხობის ფართო ფენების თვალში. ეკლესიები სოფლად ჯერ კიდევ მაშინ იხურებოდა და არაფერია გასაკვირი, თუ მიწის რეფორმის გატარების დასაწყისში რევოლუცია შეეხო ეკლესიასაც და გლეხობასაც და განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობა ღებულობდა გადაწყვეტილებებს ეკლესიების დახურვის შესახებ.“* [58] (აცსა, [59] ფ. პ-1, ანაწ. 1, საქ. 225, გვ. 2-48).

ასეულობით სასულიერო პირი მოექცა ამ წნეხის ქვეშ მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი თავი მიუძღვნეს ღვთისმსახურებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 1924 წლის აჯანყების შემდეგ ორმაგი რეპრესია შეეხო იმ სასულიერო პირებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ საერთო აჯანყებას საბჭოთა დამპყრობლების წინააღმდეგ. მაგალითად სამეგრელოს რეგიონულ არქივში მოპოვებული დოკუმენტების თანახმად: *„ჩამოერთვას კონფისკაციის წესით ქვემოთხსენებულ მოქალაქეთ ქონება სრულად, ან ნაწილობრივ, როგორც მენშევიკური ავანტიურის ორგანიზატორ-ხელმძღვანელებს, რომლებიც თავისი სოციალური მდგომარეობითაც ვითარცა სოფ. თავადები, აზნაურები, ვაჭარ-სპეკუ-*

[58] ეს ინფორმაცია რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეესაბამებოდა, არ ასახავდა საქართველოს მდგომარეობას და იყო სრულიად ტენდენციური შეფასება საკულტო ნაგებობების დახურვის მიზნით გაჟღერებული.

[59] აცსა - აჭარის ცენტრალური სამმართველოს არქივი.

ლიანტები და მღვდლები, სოციალურად საშიშ ელემენტებს წარმოადგენენ საბჭოთა წესწყობილებისათვის ...

- *იოსავა კონდრატე - ყოფ. მღვდელი - ლაფშა ცხენი. ურჩება სახლკარი. ოჯახში იმყოფება ცოლშვილი*
- *ქარცხია ელიზბარ დავითის ძე - ყოფ. მღვდელი - ლაფშა ცხენი. ურჩება სახლკარი. ოჯახში იმყოფება ცოლშვილი*
- *ფარულავა ბესარიონ დიმიტრის ძე - ყოფ. აზნაური და მღვდელი - იარაღით ხელში გამოსული. სახლი ოთხთვალიანი, სახლი გამოსვლების ჩაქრობის დროს დარღვეულია და გადატანილია სხვაგან. ურჩება ერთი სამზარეულო ორთვალიანი და სხვა ინვენტარი. ოჯახი შედგება ხუთი სულისგან* (სრა,[60] ფ. 2, საქ. 32, გვ. 23-28).

რეპრესიების ერთ-ერთი ადრეული ფორმა იყო სასულიერო პირების გათანაბრება კულაკებთან და მათთვის საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა. 1918 წლის პირველი საბჭოთა კონსტიტუციიდან დაწყებული 1930-იანი წლების შუა პერიოდამდე, რსფსრ-ში (ოკუპაციის შემდეგ საქართველოშიც) არსებობდა „უფლებაჩამორთმეულთა“ კატეგორია, ანუ იმ პირების, რომლებსაც ჩამოერთვათ ხმის მიცემის უფლება.[61] მოქალაქ-

---

[60] სრა - სამეგრელოს რეგიონული არქივი.

[61] უფლებაჩამორთმეული - არის პირი, რომელისაც ჩამოერთვა ხმის მიცემის უფლება - რსფსრ-ის, სსრკ-ის მოქალაქის არაოფიციალური სახელწოდება, რომელსაც 1918-1936 წლებში ჩამოერთვა საკუთრების, საარჩევნო და სხვა უფლებები 1918 და 1925 წლების რსფსრ-ის კონსტიტუციების შესაბამისად. უფლებების შეზღუდვა ოფიციალურ დონეზე აიხსნებოდა სოციალური გამიჯვნის ზომებით, რათა უზრუნველყოფილიყო მუშათა კლასისა და ყოფილი „მოსახლეობის ექსპლუატირებული ფენების“ წამყვანი როლი შექმნილ სოციალისტურ საზოგადოებაში. ოფიციალური საბჭოთა მონაცემებით, 1926 წლის საკავშირო აღწერის შედეგების მიხედვით, სსრკ-ის მოსახლეობა 147,027,915 ადამიანს შეადგენდა. ქვეყანაში ხმის მიცემის უფლება ჩამოერთვა 1,040,894 ადამიანს (ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 1.63%). მათგან 43.3%-ს ვაჭრები და შუამავლები შეადგენდნენ. შემდეგ მოდიოდნენ სასულიერო პირები და ბერები - 15.2%; არაშრომითი შემოსავლით მცხოვრებნი - 13.8%; ყოფილი ცარიზმის რეჟიმის ოფიცრები და სხვა წოდების წარმომადგენლები - 9%. ხმის

ისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა საბჭოთა რეჟიმის დროს, ავტომატურად იწვევდა მათ სოციალური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მონაწილეობის აკრძალვას, მათ შორის მუშაობის (გარდა შავ მუშად საქმიანობისა, რაც მაგალითად დღევანდელი გადასახედიდან უტოლდება მოქალაქისთვის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ჩამორთმევას). ასეთი ადამიანები გადაიქცნენ გარიყულებად, ანუ მეორეხარისხოვან მოქალაქეებად. ხშირად, ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევა შემდგომი რეპრესიული მეთოდების საფუძველი ხდებოდა.

რსფსრ-ის ზემოთხსენებული კონსტიტუცია (IV განყოფილება, 13 თავი, 65 მუხლი) განსაზღვრავდა მოსახლეობის 7 კატეგორიას, რომელთა ხმის მიცემის უფლება შეზღუდული ჰქონდა: ა) პირებს, რომლებიც მიმართავდნენ დაქირავებულ შრომას; ბ) პირებს, რომლებიც ცხოვრობდნენ დაუმსახურებელი შემოსავლით... ; გ) კერძო ვაჭრებს და კომერციულ შუამავლებს; დ) რელიგიური კულტის მსახურებსა და სასულიერო პირებს; ე) ყოფილი პოლიციის, ჟანდარმერიისა და სხვა სადამსჯელო ორგანოების ჩინოვნიკებსა და მსახურებს; ვ) სულიერად დაავადებულებსა და შეშლილებს; ზ) ანგარებით და სამარცხვინო დანაშაულებისთვის მსჯავრდებულებს.

„უფლებაჩამორთმეულთა“ კატეგორიების მნიშვნელოვანი მახასიათებელი ის იყო, რომ მათი რიცხვი სტატიკური არ რჩებოდა და დღითიდღე იზრდებოდა, წრე ფართოვდებოდა მოსახლეობის უფრო ფართო ფენების ჩართვის შედეგად. საბჭოთა სახელმწიფოს ეს ზომა, როგორც სოციალური პოლიტიკის ნაწი-

---

მიცემის უფლება ასევე ჩამორთმეული ჰქონდა უფლებაჩამორთმეულთა ოჯახების ზრდასრულ (18 წელზე მეტი ასაკის) წევრებს. მათი რაოდენობა 6.4% იყო. იხ. ვრცლად: Федорова, Н. А. (2007), Лишенцы 1920-х годов: советское сословие отверженных, *Журнал исследований социальной политики, Т. 5, вып. 4.*

ლი, მიმართული იყო ეკონომიკური, ადმინისტრაციული, სოციალური და ფსიქოლოგიური ზეწოლისკენ, მოსახლეობის გარკვეულ ფენებზე, მათ შორის სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებზე და სასულიერო პირებზე.

მაგალითად, კახეთის რეგიონულ არქივში მოპოვებულ დოკუმენტში გვხვდება - 1931 წლის სახელობითი სია საბჭოთა საარჩევნო უფლებას მოკლებული პირებისა, სადაც არიან მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები და მათი ოჯახის წევრები (თელავის რაიაღმასკომი, სიაში მინიჭებული ნომრების შესაბამისად):

6. ალბუთაშვილი მათე ომიას ძე
195. დეკანოზიშვილი პეტრე ილიას ძე
214. ეზიკიანი ხაჩატურა მარტიას ძე
328. მაისურაძე ვასო
346. მაღრაძე კატო გრიგორას ასული
347. მაღრაძე ვანო
375. მარიკიანი ღევანდია მარქარას ძე
594. ცუცუნაშვილი ქეთევანი ზაქარიას ასული
595. ცუცუნაშვილი იოსები
627. ჯაოშვილი ეპიფანე მაქსიმას ძე
628. ჯაოშვული ვალერიანა გიორგის ასული
684. ღვინიაშვილი ლევანა ილიას ძე
685. ღვინიაშვილი ნატალია ივანეს ასული

ყველა ზემოხსენებულ პირს ჩამორთმეული ჰქონდა ხმის უფლება - საარჩევნო ინსტრუქციის **მუხლი 4, § „დ“**-ს შესაბამისად, რომლის განმარტება დოკუმენტში აღწერილია შემდეგნაირად: **„ყველა სარწმუნოების და კულტის რელიგიური მსახურნი - მღვდელი, დიაკვანი და მათ კმაყოფაზე მყოფნი“** (კრა,[62] ფ. 3, ანაწ. 1, საქ. 25).

[62] კრა - კახეთის რეგიონული არქივი.

იმავე არქივის მასალებში, რომელიც ეხება გურჯაანის რაისაბჭოს აღმასკომს, ინახება ცკ-დან მოსული დირექტივები არჩევნებთან დაკავშირებით. თვალსაჩინოებისთვის დავიმოწმებთ მოკლე ამონარიდს ბროშურიდან: *ს.ს.ს.რ. ინსტრუქცია საბჭოების და საბჭოთა ყრილობების არჩევნების შესახებ. სრ. საქ. ცაკ-ის საორგანიზაციო განყოფილების გამოცემა, ტფილისი 1934*

ინსტრუქციის თანახმად

თავი II

ამომრჩევლებისა და საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა განსაზღვრა

18. ვერ აარჩევენ და ვერ იქნებიან არჩეულნი, თუნდაც ეკუთვნოდენ მოქალაქეთა ერთ-ერთ 15 მუხლში ჩამოთვლილ კატეგორიას:

... დ) **ყველა სარწმუნოებისა და რჯულის რელიგიური კულტის სასულიერო მსახურნი, როგორც ყოფილნი, ისე ახლანდელნი;**

20. საარჩევნო უფლება არ ერთმევათ შემდეგი კატეგორიების პირთ, თუ ისინი ამ უფლებას არ არიან მოკლებულნი სხვა საფუძვლების მიხედვით:

... ლ) იმ პირს, ვინც დაქირავებით ან რელიგიური საზოგადოების არჩევით ასრულებს ადმინისტრაციულ-სამეურნეო და ტექნიკურ მოვალეობას რელიგიური წესების შესრულებისა და რელიგიური კულტის შენობის მოვლის საქმეში, როგორიც არის მაგალითად: **მგალობელი, ორგანისტი,** დარაჯი, დამლაგებელი, **ზარების მრეკავი** და სხვ., აგრეთვე **საეკლესიო-სამრევლო საბჭოს წევრი**;

თავი III

მოქალაქეთა საარჩევნო უფლების აღდგენის წესი

21. იმ პირთ, ვინც მოკლებულნი არიან საარჩევნო უფლებას, როგორც ექსპლოატატორთა კლასის წარმომადგენელი

(მემამულე, ბურჟუაზია, **რელიგიური კულტის მსახურნი**), აგრეთვე პოლიციისა ... შეიძლება აღედგინოს საარჩევნო უფლება, თუ ისინი არა ნაკლებ ხუთი წლისა ეწევიან წარმოებითი და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და დაამტკიცეს თავისი ლოიალობა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ...

თავი IV

ამომრჩეველთა და საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიების შედგენა

30. საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა მუდმივი სახელობრივი აღრიცხვა ევალება სასოფლო და საქალაქო (ტფილისში - ქალაქის სარაიონო) საბჭოებს.

31. 30 მუხლში აღნიშნული ორგანოები ვალდებული არიან შეკრიბონ დოკუმენტალური ხასიათის ცნობები იმ პირთა შესახებ, ვისაც საარჩევნო უფლება უნდა ჩამოერთვას, ასეთი ცნობებია:

... დ) ყოფილი პოლიციის მსახურთა და აგენტების, **რელიგიური კულტის მსახურთა** და ყველა დანარჩენ პირებისთვის, ვინც ამა ინსტრუქციის მე-19 მუხლშია ჩამოთვლილი (მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიები, რომლებსაც საარჩევნო უფლება ერთმევა, - მიწათმოქმედები, მესაქონლეები, კულაკები, ვაჭრები და ა.შ., ავტ.) - ადმინისტრაციული ორგანოებისა, საქალაქო და სასოფლო საბჭოებისა ან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების ცნობები (კრა, ფ. 1, ანაწ. 1, საქ. 10: 56-66).

ქუთაისის ქალაქის საბჭოსთან არსებულ საარჩევნო უფლებებში აღმდგენი კომისიის 1936 წლის 11 მარტის სხდომის N 1 ოქმით, ლომიძე პარმენ პავლეს ძე შეყვანილია საარჩევნო ხმის უფლება აღკვეთილთა სიაში, როგორც რელიგიური კულტმსახური, არის ჩატარებული გამორკვევანი უკანასკნელ ხანებში მისი საქმიანობის შესახებ, რომლის მიხედვით მან თითქოს დასტოვა მღვდელ-მსახურება და ეწევა პატიოსან შრომას, მაგრამ შემო-

სული სიტყვიერი ინფორმაციები ეწინააღმდეგება შეკრებილ ცნობებს (ქცა, ფ. 149, ანაწ. 1 საქ. 535:8).

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევის კუთხით ხელისუფლება ამას თითქოს პირდაპირ კი არ აკეთებდა, არამედ ისევ „მოსახლეობის მოთხოვნით“, მათი სახელით. კომუნისტური ათეისტური მთავრობა, ხშირად მის დამქაშებს ახმოვანებინებდა იმ მოთხოვნებს, რაც თავად აწყობდა და ამას ხალხის სახელით აკეთებდა. ასე ხდებოდა რეპრესიების დაწყებიდან, მაგრამ განსაკუთრებული სიმწვავით თავი იჩინა 1937-38 წლებში. მაგალითად, 1937 წელს ქუთაისის რაიონში ახალი კონსტიტუციის განხილვის დროს მოსახლეობისგან შემოვიდა წინადადება: *„მღვდლებს, როგორც მატყუარებს, არ მიეცეთ ხმის უფლება“* (ქცა, ფ. 149, ანაწ. 1, საქ. 677:10). მოსახლეობისვე თხოვნით ხურავდნენ ეკლესიებსაც: *„ოზურგეთის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი წერს საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს, რომ გურიაში 200-მდე ეკლესია დაიხურა და თან ყველა მასიური კრებების დადგენილებების საფუძველზეო ...“* (გრა,[63] ფ. 1, ანაწ. 1, საქ. 3:23).

მასობრივი რეპრესიების გატარებას წინ უძღოდა სასულიერო პირებზე მაქსიმალურად დეტალური ინფორმაციის შეგროვება. მაგალითად, საარქივო მასალებში იძებნება 1927 წლის აგვისტოს სტატისტიკური მონაცემები სადაც აღნიშნულია, რომ „მუსლიმური სასულიერო პირები ყოველთვის ასრულებდნენ მნიშვნელოვან როლს ამიერკავკასიის თურქების[64] საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ასევე აჭარლების ცხოვრებაში. ამ როლის მნიშვნელობა განსაკუთრებით ნათელი გახდა ამ

[63] გრა - გურიის რეგიონული არქივი.

[64] აქ რა თქმა უნდა იგულისხმებიან ამიერკავკასიაში მცხოვრები მუსლიმები და არა ეროვნებით თურქები. ზოგადად ცნობილია, რომ რუსები ყველა ეროვნების მუსლიმს თათრებს, ან თურქებს ეძახდნენ.

წელს აზერბაიჯანში კონტრრევოლუციის ზოგიერთი გამოვლინების დროს. აღმოჩნდა, რომ სასულიერო პირები არიან მნიშვნელოვანი არხი, რომლის საშუალებითაც ფეოდალური ელემენტი ახდენს გავლენას გლეხობაზე. ამიტომაც ძალზედ მნიშვნელოვანია მუსლიმური სასულიერო პირების შესწავლა მოხდეს ფართოდ...“ (სტილი დაცულია) (აცსა, ფ. პ-1, ანაწ. 1, საქ. 939: 3). ამ მონაცემებში ბევრი უზუსტობაცაა, თუმცა, მთავარი მაინც ისაა, თუ რა ამოცანები იდგა ამ სტატისტიკური მონაცემების შედგენისას. კერძოდ:

1. რა კვალიფიკაციის სასულიერო პირები[65] არიან ამიერკავკასიაში?
2. რა ასაკში იმყოფებიან სასულიერო პირები და მათი რა ნაწილი დაიბადა საზღვარგარეთ?
3. როგორია ამიერკავკასიაში მცხოვრები სასულიერო პირების ღვთისმსახურების სტაჟი?
4. სასულიერო პირების კავშირი საზღვარგარეთთან ძლიერდება თუ სუსტდება?
5. რა დოზით და სახელდობრ რომელ ქვეყანებში (თურქეთი, სპარსეთი) დადის სამღვდელოება?
6. რითაა დაკავებული სასულიერო პირები თავისი რელიგიური ფუნქციების გარდა და რა შემოსავალი აქვს რელიგიური შემოწირულობების გარდა და ა. შ.?
7. საერთოდ რა მატერიალური საარსებო საშუალება აქვს სასულიერო პირებს და რამდენად განსხვავდება მათი მატერიალური მდგომარეობა საბჭოთა პერიოდამდე და მდგომარეობა ახლა?

---

[65] დოკუმენტში წერია - Мусулманское духовенство, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ისლამში არ არსებობს სამღვდელოების ინსტიტუტი, როგორც მაგალითად ქრისტიანობაში, აქ ვწერთ სასულიერო პირს.

8. როგორია სასულიერო პირების ქონებრივი მდგომარეობა? (პირუტყვი, მიწა)?
9. რამდენად გაუმჯობესდა ან გაუარესდა სასულიერო პირების ქონებრივი მდგომარეობა გასაბჭოების მომენტიდან?
10. რამდენად ხშირია მუსლიმი სასულიერო პირების მიერ ცალკეული რაიონების მონახულება?

ყველა ეს მონაცემი სტატისტიკურ ანგარიშებში გაკეთებულია ცალ-ცალკე, სუნიტებსა და შიიტებზე. აქვე შევნიშნავთ, რომ ასეთი მონაცემები გროვდებოდა ყველა რელიგიურ ორგანიზაციაზე.

როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, რელიგიასთან ბრძოლის კუთხით ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად „გულმოდგინეობას“ იჩენდნენ და ყოველგვარი ადგილობრივი სიტუაციის გაუთვალისწინებლად ებრძოდნენ რელიგიას, რასაც ხშირად კონფლიქტებიც მოსდევდა ხელისუფლებასა და სასულიერო პირებს, ზოგადად, მორწმუნეებს შორის. ეს ამბები ეტყობა, ზოგჯერ მოსკოვამდეც აღწევდა.

საარქივო მასალებში იძებნება რკპ (ბ) მდივნის ვ. მოლოტოვის წერილი (სრულიად საიდუმლოდ, 05.09.1924) ყველა სამხარეო და ეროვნულ კომიტეტებს, სადაც საუბარია, რომ *„გაუაზრებელ ანტირელიგიურ კომპანიას ადგილებზე მოყვა ფანატიზმის გავრცელება... ამიტომ აუცილებელია რელიგიასთან ბრძოლა ატარებდეს ახსნა-განმარტებით ხასიათს... არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ისეთი ანტირელიგიური პროპაგანდა, რომელიც შეურაცყოფას აყენებს მორწმუნეებს“* და ა. შ. (აცსა, ფ. პ-1, ანაწ. 1, საქ. 337: 18).

რეპრესიული ზომების გატარება ძირითადად ეფუძნებოდა იმ ინფორმაციას, რასაც საბჭოთა ხელისუფლება სხვადასხვა გზით მოიპოვებდა რელიგიური ორგანიზაციების შესახებ. მან ზუსტად იცოდა რომელი რელიგიური ორგანიზაციის სულ-

იერი ლიდერი ვინ იყო, ვინ იყო აქტიური მორწმუნე და საერთოდ, რამდენი მორწმუნე ჰყავდა ამა თუ იმ ეკლესიას. ასე მაგალითად, 1930 წლისთვის ბათუმში, ბათუმის აღმასკომის მიერ აღრიცხული იყო შემდეგი რელიგიური თემები:

- სომხურ-გრიგორიანული ძმობა -194 წევრი
- სომხურ-კათოლიკური ეკლესია - 541 წევრი
- ბერძნების მორწმუნე ქრისტიანები ს. ახალშენში - 404 წევრი
- ქრისტიან-ბაპტისტები - 45 წევრი
- ევანგელურ-ქრისტიანების ბათუმის თემი - 27 წევრი
- მორწმუნეთა კათოლიკური ეკლესია - 114 წევრი
- რუსულ-პოკროვის თემი - 448 წევრი
- ებრაული თემი (რუსები) – 171 წევრი
- ქართულ-ებრაული თემი - 81 წევრი
- სასაფლაოს სამების ეკლესია - 80 წევრი
- საქართველოს რელიგიური თემი - 782 წევრი (ქართველი მართმადიდებლები, ავტ.)
- რუსულ-მართლმადიდებლურ პოკროვის თემში ნებაყოფლობით გაერთიანებული მოქალაქეები - 153 წევრი
- ბერძნული რელიგიური თემი - 1253 წევრი
- ლუთერების თემი - 52 წევრი (აცსა, ფ. რ-91, ანაწ. 1, საქ. 28: 4).

სასულიერო პირების მძიმე, გაუსაძლისი პირობების დამადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ გორის ადგილობრივ არქივში მიკვლეული 17 მღვდლის წერილი, რომლებსაც ჩამოართვეს მთელი თავიანთი ქონება (სახლ-კარი და მიწა) მხოლოდ იმიტომ, რომ არიან მღვდლები. რა თქმა უნდა, ყველა ვერ უძლებდა ამგვარ ზეწოლას და წერდნენ წერილებს მღვდლობაზე თავის დანებების შესახებ, რათა თავის გადასარჩენათ, შეენარჩუნებინათ მცირე მიწის ნაგლეჯი.

ყველა თემის აღმასკომებს /ცირკულარიდან/

თანახმად გორის მაზრის პარტკომის მოწერილობისა 15 იანვრიდან ა/წ შინა მმართველობა გავალებთ მიიღოთ ყოველი ზომები, რათა მიწის რეფორმის რევოლუციონური წესით ჩატარების დროს არ იქმნეს მიწის ნორმა მიცემული პირებისთვის, რომელნიც ეწევიან ამ ჟამად ეკლესიის სამსახურს (მღვდლები, მთავრები, დიაკვნები და სხ.). მიწის ნორმა მიეცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირნი სამუდამოთ დაანებებენ თავს ეკლესიის სამსახურს და შეუდგებიან მიწის დამუშავებას საკუთარი შრომით.

18 იანვარი 1923 წ. N 346

შინა მმართველობის განყოფილების გამგე (გაა,[66] ფ. 3, ანაწ. 1, საქ. 5: 9).

სწორედ ამგვარი გადაწყვეტილების ასრულებაა ქვემოთ მოყვანილი რამდენიმე წერილი ზემოთ ნახსენები 17 მღვდლიდან.

სოფელ არაშენდის მიწის კომიტეტებს
სოფ. არაშენდაში მცხოვრებლის
მღ. გიორგი ივანეს ძე კოპაძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სოფელ არაშენდაში მაქვს სახნავი მამულები. მიწის კომიტეტებმა გამომიცხადეს რომ მთავრობიდან არის გამოცემული დეკრეტი რომ მღვდლებს მამული არ ეძლევათო რისთვისაც გამომიცხადეს თუ სამსახურს თავს არ დაანებებ მამულს არ მოგცემთო რის გამოც ამა წლის 1 რიცხვებში თებერვლისა გავიხადე ანაფორა, გავკოვხტავდი და სამუდამოდ მივაფურთხე მატყუარა მღვდლობას.

ყოფილი მღ. გიორგი კოპაძე

---

[66] გაა - გორის ადგილობრივი არქივი.

1 თებერვალი 1923 წ. (შენიშვნა: ყოფილი სხვის მიერ არის ჩაწერილი, სხვა კალიგრაფიაა, ავტ.) (გაა, ფ. 3, ანაწ. 1, საქ. 38: 27).

შინდისის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარეს

ვარიანის მღვდლის გაბრიელ სიმონიშვილის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ვინაიდგან აღარ მსურს ვიმსახურო სასულიერო წოდებაში და ვიქნე მოქალაქე, გთხოვთ მომეცეს მიწა, ე.ი. ნორმა. ჩვენი ოჯახი შესდგება რვა სულ.

მღვდელი გაბრიელ სიმონიშვილი

28/02- 23 წ.

<u>უკანა მხარეს აქვს მინაწერი</u>: *შინდისი მიწის კომიტეტს.*

თუ მღვდელი გახდილია იმ შემთხვევაში მიეცით მას ნორმა კანონის ფარგლებში.

თვმჯდომარე ნ. საბაშვილი

3/03 23 წელი (გაა, ფ. 3, ანაწ. 1, საქ. 38:30).

განსაკუთრებით ტრაგიკულია მოხუცი ცხინვალელი დეკანოზის იოანე კაპანაძის ხელწერილი:

1923 წელს მარტის 10 დღესა, მე, ცხინვალის დეკანოზი იოანე ანტონის ძე კაპანაძე ვაძლევ სოფელ ქვემო ნიქოზის მიწის კომიტეტს ამ ხელწერილს მასზედა, რომ თუ უკეთუ არ მომეთხოვება ანაფორის გახდა და გაკრეჭა, რაც ჩემი სიკვდილის თანაბარია, როგორც მოხუცებული დეკანოზისთვის, დამინებებია თავი მღვდლის თანამდებობისთვის, აღარ დაუბრუნდე მას, დავბინავდი ჩემს მამულში და ვკმაყოფილდები ჩემი მამულით, რაც მაქვს დღეს და არც ვითხოვ ნორმის შევსებას, რაზედაც თანახმა ვარ და ხელს ვაწერ

ცხინვალის დეკანოზი იოანე კაპანაძე (გაა, ფ. 3, ანაწ. 1, საქ. 38: 39).

ხშირად ხელისუფლება გამოგონილი და დასმენების საფუძველზე შეთითხნილი საქმეებით მღვდლებს მიაწერდა სხვა-

დასხვა დანაშაულს, ეს კი თავის მხრივ საკმარისი საფუძველი იყო ასეთი პიროვნებისთვის სამღვდელო საქმიანობის აკრძალვისთვის. მაგალითად, ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომის ოქმით (N 17/65, 08.02.1926):

<u>მოვისმინეთ:</u> შემოქმედის მონასტერში მღვდელ-მოქმედების შესახებ.

<u>დავადგინეთ:</u> აკრძალულ იქნას მღვდელ-მოქმედება შემოქმედის მონასტერში, თანახმად დებულებისა, მღვდელ-მონაზონი მელენტი თოფურია გაძევებულ იქნას მონასტრიდან, როგორც ქურდობისთვის გასამართლებული და ჩამოერთვას მას განათლების სახალხო კომისარიატის სიძველეთა ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილებიდან მიღებული მანდატი; თვალყურის დევნება, როგორც სიძველეთა დაცვისათვის ისე სხვა მხრივათაც დაევალოს შემოქმედის თემის აღმასკომს (სტილი დაცულია) (გაა, ფ. 1, ანაწ. 1, საქ. 6: 11-12).

რელიგიასთან ბრძოლის მიმართულებით ხელისუფლება განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენდა იმ პარტიულების მიმართ, რომლებიც ასრულებდნენ რელიგიურ რიტუალებს.

ქედაში, გურგენიძე ოსმან სალიხის ძე - 1926 წლიდან პარტიის წევრი, დაბ. 1898 წელს, გლეხი კოლმეურნე - რელიგიური რიტუალების შესრულების გამო გარიცხეს პარტიის რიგებიდან ქედის რაი-საკ. კომისია-მუშგლეხინის პრეზიდიუმის სხდომაზე (27 იანვარი, 1933 წ.) (აცსა, ფ. პ-8, ანაწ. 1, საქ. 42: 4).

კაკაბაძე ადემ ხუსეინის ძე - გლეხი, კოლმეურნე პარტიიდან გარიცხეს იმის გამო, რომ გამოძიებით დადასტურდა: კაკაბაძე ადემ ხუსეინის ძე მართლაც არის რელიგიის მორწმუნე /ლოცულობს, იჭერდა რამაზანს (რამადანს, ანუ მარხვის თვეს, ავტ.) და სხვა / გარდა აღნიშნულისა, არ ასრულებდა პარტიულ დავალებებსაცო... (სტილი დაცულია) (აცსა, ფ. პ-8, ანაწ. 1, საქ. 17-ა:1).

მეტიც, ადამიანი შეიძლება იმისთვის დაესაჯათ, რომ იყო სასულიერო პირის შვილი, ცოლი, ან სხვა ახლო ნათესავი. ხულოს რაიკომის ბიუროს ოქმში (N 55, 1935 წ. 18 ნოემბერი) ვკითხულობთ: *...იმის გამო, რომ ოსმან ჯაყელი ცხოვრობს თავისი მამის ყოფ. მოლა და ხმა ჩამორთმეულ შენობაში, თუმცაღა ცალკე ბინაზე, რითაც საბაბს იძლევა მამასთან კავშირში ყოფნის შესახებ - გამოეცხადოს სასტიკი საყვედური გაფრთხილებით და მოიხსნას იგი სას. საბჭოს თავ-რის მოვალეობისგან* (აცსა, ფ. პ-12, ანაწ. 26, საქ. 2158: 2).

ანალოგიურ სურათი იყო მთელი ქვეყნის მასშტაბით, მაგრამ რაოდენ მასობრივი იყო ეს მოვლენა კარგად ჩანს ზუგდიდის მაზრის აბასთუმნის თემში მომზადებული საარჩევნო უფლებაშეზღუდულთა სიიდან, სადაც ყველა კულტის მსახურის ცოლიცაა შეყვანილი:

1. *კვარაცხელია ალექსი, 75 წლის, მღვდელი*
2. *კვარაცხელია ნატალია, 60 წლის, მღვდლის ცოლი*
3. *კოდუა ზოსიმე, 78 წლის, მედავითნე*
4. *კოდუა მართა, 70 წლის, მედავითნის ცოლი*
5. *კოდუა სეონი, 36 წლის, მედავითნე*
6. *ჩიხლაძე სოლომონი, 55 წლის, მღვდელი*
7. *ჩიხლაძე თეგრო, 45 წლის, მღვდლის ცოლი*
8. *დავითია ისლამი, 65 წლის, სას. კულტის მსახური*
9. *მიქავა დარიკო, 60 წლის, რელიგ. კულტ. მთავარ. მკითხ.*
10. *ჩიხლაძე დარიკო, 60 წლის, რელიგ. კულტ. მთავარ. მკითხ.*
11. *გერსამია ვასილი, 55 წლის, მღვდელი*
12. *თოდუა მამანტი, 30 წლის, მედავითნე*
13. *აფშილავა პორფილე, 40 წლის, სასულ კულტ. მსახური*
14. *ბერაია მარია, 45 წლის, მონაზონი*
15. *კიტია ანდრო, 53 წლის მედავითნე*
16. *კიტია ანეტა, 40 წლის, მედავითნის ცოლი*

17. *თვალთვაძე ვასილი, 55 წლის, მღვდელი*
18. *თვალთვაძე ცაცუ, 40 წლის, მღვდლის ცოლი* (სრა, ფ. 2, ანაწ. 1, საქ. 275: 2).

ფოთში 1934 წლის 5 ნოემბერს შედგენილი სახელობითი სიიდან ჩანს,[67] რომ საარჩევნო უფლება შეზღუდული აქვთ:

- *ბობოხიძე ივანე დავითის ძე* - რელიგიური კულტის მსახური
- *ბობოხიძე კიონია ლუკას ასული* - კმაყოფაზე მყოფი ოჯახის წევრი
- *ჟვანია (ბაბილუა) პარასკევა* - რელ. კულტ. მსახ. (გვ. 154-ზე არის პარასკევა ტიმოთეს ასული ბაბილუას განცხადება სსსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს (21.09.1935), სადაც წერს, რომ **ჩემს მეზობელს ჩემთან აქვს ქონებრივი დავა და მან ნათესავების დახმარებით მე გამატარა როგორც რელიგიური კულტის მსახური დ ამიტომ ჩამოურთმევიათ ჩემზე ხმაო. ყალბი საბუთი კი, ვითომ მე ვიყო მედავითნე, გაუცია ჩემს მტერს, აწ გარდაცვლილ დეკანოზს ნესტორ სასანიასო...** (ხაზგასმა ჩვენია, ავტ.) 1929 წელს გარდამეცვალა 15 წლის ქალიშვილი და ხშირად დავდიოდი სასაფლაოზე, სადაც ტარდებოდა წირვა-ლოცვაო და ამით ისარგებლეს ჩემმა მტრებმაო...) (ფაა,[68] ფ. 37, ანაწ. 1, საქ. 819).

რელიგიასთან ბრძოლის ეპოქა მხოლოდ სტალინური მმართველობით არ დასრულებულა. ის გრძელდებოდა კომუნისტური რეჟიმის არსებობის ბოლო წლებამდე და რეპრესიების ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა იყო ძველი ტრადიციებისა (რომლებიც ხშირად რელიგიასთან იყო კავშირში) და რელიგი-

---

[67] საქმე მთლიანად არაა დანომრილი, შესაბამისად ვერ ვუთითებთ ყველა გვერდს.
[68] ფაა - ფოთის ადგილობრივი არქივი.

ური რიტუალების წინააღმდეგ გამოცხადებული იდეოლოგიური ბრძოლა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1975 წლის 24 ნოემბერს მიიღო დადგენილება **„მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“**, რომელიც შემდგომ განხილულ იქნა ყველა ქვემდგომ პარტიულ ორგანიზაციაში და მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები. ასე, მაგალითად, ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით (N 15/4-377, 13.07.1977) შემუშავებულ იქნა, დადგენილებიდან გამომდინარე, საკითხების პრაქტიკული განხორციელების ღონისძიებათა გეგმა (ქცა, ფონდი 149, ანაწ. 1 საქ. 4904:48). როგორც საქმეში ვკითხულობთ, დადგენილების გამოცემიდან დაახლოებით 1,5 წელიწადში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩატარებულია 200-მდე საუბარი, 100-ზე მეტი ლექცია, 50-მდე თემატური საღამო, 100-ზე მეტი საშეფო (საკურატორო, ავტ.) და გასვლითი კონცერტი... (ქცა, ფონდი 149, ანაწ. 1 საქ. 4904:48). მოძველებული ტრადიციების წინააღმდეგ საბრძოლველად გამიზნული მუშაობისათვის განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ახალ წეს-ჩვეულებისა და რიტუალების დანერგვას...(ქცა, ფონდი 149, ანაწ. 1 საქ. 4904: 49). ამ ანტირელიგიური მუშაობის გაგრძელება იყო ასევე 1979 წლის 26 აპრილის სსრკ ცკ-ას მიერ მიღებული დადგენილება **„იდეოლოგიურ-პოლიტიკურ აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“,** რომელსაც ასევე ადგილებზე მოყვა მისი განხილვა და იდეოლოგიური ბრძოლის გაძლიერება. საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ბიუროსა და საქალაქო აღმასკომის გადაწყვეტილებით (21.03. 1986, N7.36.244) დადგინდა ქ. ქუთაისში 1986 წლის 26 და 27 აპრილს ნათესავთა და ახლობელთა ხსოვნის დღის ჩატარების შესახებ. ამ

ღონისძიებების ჩასატარებლად ქალაქის ხელმძღვანელ ორგანოებში შეიქმნა სამთავრობო კომისიები და გამოიყო პასუხისმგებელი პირები... (ქცა, ფ.149, ანაწ. 1, საქ. 6569: 102). რა თქმა უნდა, ეს ღონისძიებებიც ტარდებოდა ძველი ტრადიციების ჩანაცვლების მიზნით.

პროექტზე მუშაობისას, გვერდს ვერ ავუვლიდით რელიგიური უმცირესობების რეპრესირების საკითხს. საქართველოს არქივებში ბევრი საინტერესო მასალა მოვიპოვეთ, რომელმაც რელიგიური დევნის საერთო სურათის ჩამოყალიბების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

ქვემო-ქართლის რეგიონულ არქივში მოიძებნა ინფორმაცია გერმანელი მღვდლის (ლუთერანი პასტორი) - შილი კარლი კარლის ძეს შესახებ, რომელსაც 1927 წლიდან ჩამოერთვა ხმა (საცხ. ადგ. ვალდჰეიმი, აქვე არიან მისი ხმაჩამორთმეული ოჯახის წევრებიც - შილი მატილდა, შილი ნიკოლოზი კარლის ძე - მღვდლის შვილი, შილი კარლი კარლის ძე - მღვდლის შვილი (ქქრა,[69] ფ. 174, ანაწ. 1, საქ. 16,: 3ა).

კიდევ ერთი საინტერესო დოკუმენტი ქვემო-ქართლის რეგიონული არქივიდან:

როზენბერგის სოფ. საბჭოს 1929 წლის 13 იანვრის #24 ოქმი

<u>მოისმინეს</u>: ამხანაგ პოზოვის მოხსენება, რომ მასთან უკვე რამდენიმე პიროვნება მივიდა კოლ. როზენბერგიდან და განუცხადეს, რომ კოლ. როზენბერგში ჩამოდიან მოქალაქეები სხვა მეზობელი გერმანული სოფლებიდან და ასევე აზერბაიჯანიდანაც და აწყობენ რელიგიურ შეკრებებს სახლებში, რაც მათ არ სურთ კოლ. როზენბერგში, და ამბობენ რომ ეს მოთხოვნა არის როზენბერგის საზოგადოების.

<u>დაადგინეს</u>: ხმათა უმრავლესობით ვადგენთ, აეკრძალოთ ჩამოსულ მოქალაქეებს რელიგიური შეკრებების მოწყობა სახლ-

[69] ქქრა - ქვემო-ქართლის რეგიონული არქივი.

ებში და საერთოდ არ ჩამოვიდნენ კოლ. როზენგერგში. წინააღმ-
დეგ შემთხვევაში, მათ მიერ გაწეული წინააღმდეგობის დროს
დაპატიმრება ემუქრებათ. ვინაიდან ისინი ატყუებენ მოსახ-
ლეობას და ეწევიან სხვადასხვა პროპაგანდას, რაც უშლის ხელს
საბჭოთა აღმშენებლობას (სტილი დაცულია) (ქქრა, ფ. 282, ანაწ.
1, საქ. 4: 4).

1921 წელს საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ
დაიწყო ასევე კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლების დე-
ვნა. გორის არქივის მასალების მიხედვით, საბჭოთა ხელისუფლ-
ება ყურადღებას ამახვილებს კათოლიკე მღვდლების აქტიურ-
ობაზე და მათ საქმიანობაზე:

სრ. საიდუმლოდ
ფრიად საჩქაროდ

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს

თანახმად თქვენი ცირკულარული განკარგულებისა #473/
1011 მოგახსენებთ, რომ გორის მაზრაში არის ორი კათოლიკური
ეკლესია ქალ. გორში და სოფ. სკრაში. ორთავ ეკლესიებთან არ-
იან კათოლიკების მღვდლები. გორის კათოლიკების ეკლესიას-
თან არის ერთი მღვდელი კონსტანტინე საფარაშვილი, სოფ.
სკრაში ტერ-სტანისლავ კაჭკაჭიანი. ქალ. გორის კათოლიკეთა
ეკლესიასთან არის სამრევლო საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

1. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ჭულახოვი (ან ჯულახოვი? ავტ.) - პედაგოგი

2. გაბრიელ ალექსის ძე ჩიტაშვილი - მიწის მუშა

3. ალექსანდრე ანტონის ძე ზუბალაშვილი - წვრილი მესაკუთრე

4. მიხაკა ალექსანდრეს ძე კორგოშვილი? - მეფურნე

5. კათოლიკების საორგანიზაციო ცენტრი მაზრაში არ არის.

6. მაზრაში უფრო აქტიურ მღვდლად ითვლება კონსტანტინე საფარაშვილი, რომელიც მტკიცედ იცავს თავის რელიგიურ წესებს. რაც შეეხება პოლიტიკურათ იგი შემჩნეული არ ყოფილა ... (სტილი დაცულია) [გაა, ფ. 3, ანაწ. 1, საქ. 63: 63].

<u>ფრ. სასწრაფო</u>

<u>საიდუმლო</u>

იუსტიციის სახ. კომისარიატი (პროკურატურის განყოფილება)

გორის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს

პროკურატურის განყოფილების მიერ გადმოგზავნილ იყო მორწმუნეთა შუამდგომლობა გორის კათოლიკების ეკლესიის გახსნის შესახებ, რაზედაც აღმასკომმა თავის მიწერილობით გვაცნობა, რომ კათოლიკების უმრავლესობას ეკლესიის გახსნა არ სურს და თვითონ პატრი, როგორც შეურიგებელი კონტრ-რევოლუციონერი, გაძევებულია მაზრის ფარგლებიდან. საჭიროების გამო და ვინაიდან განყოფილებაში ეს თქვენი მოწერილობა არ აღმოჩნდა, პროკურატურის განყოფილება გთხოვთ სასწრაფოდ გადმოგვიგზავნოთ დასახელებული თქვენი მოწერილობის ასლი (სტილი დაცულია) (გაა, ფ. 3, ანაწ. 1, საქ. 63:118).

რაც შეეხება სომხური ეკლესიის სასულიერო პირებს, საინტერესო მასალები აღმოჩნდა **სამცხე-ჯავახეთის რეგიონის რეგიონულ არქივში.**

მაგალითად, ტეპოიან ნაზარეთს და ხაჩატურიან სიმეონს 1927 წელს ჩამოართვეს ხმა, როგორც ღვთისმსახურებს (სომხ.: ტირაცუ, ავტ.). ტეპოიან ნაზარეთის თქმით 1926 წლიდან აღარ მსახურობდა და ამიტომ ითხოვდა ხმის აღდგენას (სჯრა,[70] ფ. 1, ანაწ. 1, საქ. 18: 51-70).

ასევე იძებნება ინფორმაცია ებრაული თემის სასულიერო პირების შესახებ, რომელიც გაბნეულია სხვადასხვა ქალაქის

[70] სჯრა - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული არქივი.

საარქივო მასალებში. მაგალითისთვის ისევ მოვიყვანთ ფოთის ადგილობრივი არქივიდან ახლახან მოპოვებულ მასალას. იგულისხმება 1934 წლის 5 ნოემბერს შედგენილი სახელობითი სია უფლებაჩამორთმეულთა შესახებ, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. ამ დოკუმენტის მიხედვით აღნიშნულ სიაში არის რამდენიმე ებრაელი სასულიერო უფლებაჩამორთმეული პირი:

- *ელაშვილი მიხეილ მანუახის ძე* - რელიგ. კულტ. მსახური
- *ელაშვილი სიმხა აბრამის ასული* - კმაყოფაზე მყოფი ოჯახის წევრი
- *კრიხელი აბრაამ მოშეს ძე* - რელ. კულტ. მსახ. (ამავე საქმეში, გვ. 104-ზე, არის კრიხელზე საარჩევნო კომისიის წევრების დახასიათება, სადაც ჩანს, რომ 1922 წლიდან აქვს უფლება წართმეული და როგორც მოქმედ რელიგიური კულტის მსახური დარჩეს უფლება წართმეულთა სიაშიო...) (ფაა, ფ. 37, ანაწ. 1, საქ. 819).

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლება იმთავითვე ვერ ეგუებოდა ბოლშევიკური იდეოლოგიის გვერდით სხვა, ამ შემთხვევაში რელიგიური იდეოლოგიის არსებობას და მას ყველა მეთოდით ებრძოდა. ათასობით სასულიერო პირი და უბრალო მორწმუნე დაისაჯა მხოლოდ იმისთვის, რომ მათ სწამდათ ღმერთის არსებობის. ამ მოვლენების ამსახველი დოკუმენტები და მთავარი ფიგურანტები ფართო საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია და ჩვენი მიზანია საზოგადოებას გავაცნოთ ტრაგიკული ისტორიის ეს უცნობი ფურცლები.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

აჭარის ცენტრალური სამმართველოს არქივი (1924), *ფონდი 3-1,* ანაწერი 1, საქმე 225.

აჭარის ცენტრალური სამმართველოს არქივი (1924), *ფონდი პ-1,* ანაწერი 1, საქმე 337.
აჭარის ცენტრალური სამმართველოს არქივი (1925), ფონდი პ-1, ანაწერი 1, საქმე 372.
აჭარის ცენტრალური სამმართველოს არქივი (1927), *ფონდი პ-1,* ანაწერი 1, საქმე 939.
აჭარის ცენტრალური სამმართველოს არქივი (1930), *ფონდი რ-91,* ანაწერი 1, საქმე 28.
აჭარის ცენტრალური სამმართველოს არქივი (1933), *ფონდი პ-8,* ანაწერი 1, საქმე 42.
აჭარის ცენტრალური სამმართველოს არქივი (1933), *ფონდი პ-8,* ანაწერი 1, საქმე 17-ა.
აჭარის ცენტრალური სამმართველოს არქივი (1935),*ფონდი პ-12*, ანაწერი 26, საქმე 2158.
გორის ადგილობრივი არქივი (1923), *ფონდი 3,*ანაწერი 1, საქმე 5.
გორის ადგილობრივი არქივი(1923),*ფონდი 3,*ანაწერი 1, საქმე 38.
გორის ადგილობრივი არქივი (1924),*ფონდი 3,*ანაწერი 1,საქმე 63.
გორის ადგილობრივი არქივი (1926), *ფონდი 1,*ანაწერი 1, საქმე 6.
გურიის რეგიონული არქივი (1924), *ფონდი 1,* ანაწერი 1, საქმე 3.
კახეთის რეგიონული არქივი (1931), *ფონდი 3,*ანაწერი 1,საქმე 25.
კახეთის რეგიონული არქივი (1934), *ფონდი 1,*ანაწერი 1,საქმე 10.
სამეგრელოს რეგიონული არქივი (1924), *ფონდი 2,* საქმე 32.
სამეგრელოს რეგიონული არქივი (1927), *ფონდი 2,* ანაწერი 1, საქმე 275.
სამცხე-ჯავახეთის რეგიონული არქივი (1934)**,** *ფონდი 1,* ანაწერი 1, საქმე 18.
ფოთის ადგილობრივი არქივი (1934), *ფონდი 37*, ანაწერი 1, საქმე 819.
ქუთაისის ცენტრალური არქივი(1924),*ფონდი 296,*ანაწერი 1, საქმე 522.

ქუთაისის ცენტრალური არქივი (1936), *ფონდი 149,* ანაწერი 1 საქმე 535.
ქუთაისის ცენტრალური არქივი (1937), *ფონდი 149,* ანაწერი 1, საქმე 677.
ქუთაისის ცენტრალური არქივი (1977), *ფონდი 149,* ანაწერი 1 საქმე 4904.
ქუთაისის ცენტრალური არქივი (1986), *ფონდი 149,* ანაწერი 1, საქმე 6569.
ქვემო-ქართლის რეგიონული არქივი (1929), *ფონდი 282,* ანაწერი 1, საქმე 4.
ქვემო-ქართლის რეგიონული არქივი (1933), *ფონდი 174*, ანაწერი 1, საქმე 16.
Федорова, Н. А. (2007), Лишенцы 1920-х годов: советское сословие отверженных, *Журнал исследований социальной политики, Т. 5, вып. 4.*

References:

ach'aris tsent'raluri sammartvelos arkivi (1924), pondi p'-1, anats'eri 1, sakme 225.
ach'aris tsent'raluri sammartvelos arkivi (1924), pondi p'-1, anats'eri 1, sakme 337.
ach'aris tsent'raluri sammartvelos arkivi (1925), pondi p'-1, anats'eri 1, sakme 372
ach'aris tsent'raluri sammartvelos arkivi (1927), pondi p'-1, anats'eri 1, sakme 939.
ach'aris tsent'raluri sammartvelos arkivi (1930), pondi r-91, anats'eri 1, sakme 28.
ach'aris tsent'raluri sammartvelos arkivi (1933), pondi p'-8, anats'eri 1, sakme 42.

ach'aris tsent'raluri sammartvelos arkivi (1933), pondi p'-8, anats'eri 1, sakme 17-a.
ach'aris tsent'raluri sammartvelos arkivi (1935), pondi p'-12, anats'eri 26, sakme 2158.
goris adgilobrivi arkivi (1923), pondi 3, anats'eri 1, sakme 5.
goris adgilobrivi arkivi (1923), pondi 3, anats'eri 1, sakme 38.
goris adgilobrivi arkivi (1924), pondi 3, anats'eri 1, sakme 63.
goris adgilobrivi arkivi (1926), pondi 1, anats'eri 1, sakme 6.
guriis regionuli arkivi (1924), pondi 1, anats'eri 1, sakme 3.
k'akhetis regionuli arkivi (1931), pondi 3, anats'eri 1, sakme 25.
k'akhetis regionuli arkivi (1934), pondi 1, anats'eri 1, sakme 10.
samegrelos regionuli arkivi (1924), pondi 2, sakme 32.
samegrelos regionuli arkivi (1927), pondi 2, anats'eri 1, sakme 275.
samtskhe-javakhetis regionuli arkivi (1934), pondi 1, anats'eri 1, sakme 18.
potis adgilobrivi arkivi (1934), pondi 37, anats'eri 1, sakme 819.
kutaisis tsent'raluri arkivi (1924), pondi 296, anats'eri 1, sakme 522.
kutaisis tsent'raluri arkivi (1936), pondi 149, anats'eri 1 sakme 535.
kutaisis tsent'raluri arkivi (1937), pondi 149, anats'eri 1, sakme 677.
kutaisis tsent'raluri arkivi (1977), pondi 149, anats'eri 1 sakme 4904.
kutaisis tsent'raluri arkivi (1986), pondi 149, anats'eri 1, sakme 6569.
kvemo-kartlis regionuli arkivi (1929), pondi 282, anats'eri 1, sakme 4.
kvemo-kartlis regionuli arkivi (1933), pondi 174, anats'eri 1, sakme 16.
Fedorova, N.A. (2007), Lishency 1920-h godov: sovetskoe soslovie otverzhennyh, Zhurnal issledovanij social'noj politiki, T. 5, vyp. 4.